# ხელშეკრულება # 33
(შესყიდვების შესახებ)

20 სექტემბერი 2016 წელი

დადებულია
ერთის მხრივ მყიდველსა – ახალქალაქის სასპორტო სკოლა ,წარმოდგენილი მისი დირექტორის ა.სუქასიანის სახით (შემდგომში შემსყიდველი), მის: ქ. ახალქალაქი თუმანიანის ქ. 31, ს/კ 423353230, ტელ: 599428592;

და მეორეს მხრივ გამყიდველს - შ.პ.ს. «სპორტ სალერ ცენტრი», ს/კ: 404421345, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი , მარშალ გელოვანის გამზ. 21 , რომელსა ამ ხელშეკრულებაში წარმოადგენს ბატონი ლევან ხარებავა (შემდგომში მიმწოდებელი) . რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველი უკვეთავს, ხოლო გამყიდველი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს მყიდველს მითითებული საქონელი. საქონლის მიღების შემდეგ გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.
1.2. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის, სტანდარტების, ტექნიკური პირობების მოთხოვნებსა და მის საპასპორტო მონაცემებს და უნდა იყოს გამართულ (სამუშაო) მდგომარეობაში. სასპორტო საქონელი ჯამში 260 (ორასსამოცი) ლარი.

## 2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 2 ოქტომბრამდე.

## 3. სახელშეკრულებო ფასი და გადახდის პირობები

3.1. ანგარიშწორების განხორციელება, შესაძლებელია, როგორც საბანკო გადარიცხვით გამყიდველის მიერ მყიდველზე წარმოდგენილ ანგარიშზე უნაღდო ანგარიშწორებით.

## 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. გამყიდველი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ გამყიდველის მიერ გაყიდული და მყიდველის მიერ შესყიდული საქონებლი თავისუფალია მესამე პირთა პრეტენზიებისაგან.

4.2. იმ შემთხვევაში თუ საქონლის ხარისხი არ შეესაბამება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის, სტანდარტების, ტექნიკური პირობების მოთხოვნებსა და მის საპასპორტო მონაცემებს მყიდველი იტოვებს უფლებას დაუბრუნოს გამყიდველს საქონელი.

### 5. ფორს-მაჟორი

5.1. ფორს-მაჟორული მდგომარეობა (კერძოდ ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის ეპიდემიის, საომარი მოქმედების, ბლოკადის, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ მიღებული რაიმე ხელისშემშლელი აქტებისა და ზომების) დადგომის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმ-მაჟორული მდგომარეობის დამთავრების მომენტამდე.

5.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დასამტკიცებლად აუცილებელია ცნობები, რომლებიც გაცემული იქნება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

### 6. სადავო საკითხების გადაწყვეტა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხების მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაუწყვეტლობის შემთხვევაში, მათი გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 7. დასკვნითი დებულებები

7.1. ეს ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარი იდენტურია, გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა და წარმოადგენს ერთი და იგივე დოკუმენტს. ხელშეკრულების თითო-თითო ეგზემპლარი რჩება გარიგებაში მონაწილე თითოეულ მხარეს.

### 8. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები

გამყიდველი
შ.პ.ს „სპორტ სალერ ცენტრი"
ს/კ 404 421 345
ს/ს „თიბისი ბანკი"
TBCBGE22
ა/ა GE27TB7903936080100003
დირექტორი: ლევან ხარებავა

ლ.ხარებავა

მყიდველი
ახალქალაქის სასპორტო სკოლა
მის. ქ. ახალქალაქი, თუმანიანის ქ. 31
ს/კ 423353230
ტელ: 599428592

ა. სუქასიან